

რედაქცია


გალაქის პროსპექტზე. აგ. მუსხიშვილის ხელისუფლებით.

ხელის-აღწერა

პირველი თვეში... რედაქცია... ვხედავთ... ვხედავთ...

„დროება“-ივერის უსი

წელიწადში 6 თვეს... 14 მან. 8 მ. 5 მ. 3 მ. 7 მ. 4 მ. 2 მ.



გამოდის ყოველ-ღამე ორშაბათს გარდა

უსი განცხადების

დღის ასობით... განცხადება... რედაქცია... ვხედავთ...

ცალკე ნომერი „დროებას“ ღირს 5კაპ.

თბილისი 1881 წელი

არწრუნის თეატრი

ხუთშაბათს 2 აპრილს

აკ. წერეთელი

წაიკითხავს ლექციას ვეფხვის ტეოსანზედ.

გეოგრაფია

I

პროგრამა

ვეფხვის ტეოსანი.

კაცები

- ა) ტარიელ.
ბ) აეთანდილ.
გ) შრიდონ.
დ) ამათი განსხვავება ხასიათებით.
ბილეთები ისეა დასაყრდენი არწრუნის თეატრის გასასვლელად.

ტელეგრაფები

პეტერბურგი, 30 მარტს. დღეს, ნაშუადღევს მესხეთე საათზე სასამართლო გამოცხადება თავის განჩინება. კასაციონ საჩივრის ვადათ ერთი დღე აქვს დამნაშავეებს მიტოვებული; ეს ვადა ხვალ, ნაშუადღევს 5 საათზე თავდება. ყველა დამნაშავეებმა, გარდა ჟედიანოვისა, ითხოვეს შირი სასამართლოს განაჩენისა და ამასთანავე თავიანთ ადვოკატებს მიანდეს კასაციონ თხოვნის შეტანა.

პეტერბურგი სპირტა, 30 მარტს.

(„სახლთა-მართის ტელეგრაფის სააგენტოს“)

Table with 2 columns: Item name and price. Includes items like 'ბანკის ბილეთები', 'პირველი გამოცემისა', 'მეორესი', etc.

ხელოვნების შაბირღები

ტფილისი, 31 მარტს.

დღევანდელს ჩვენს გაზეთში იბეჭდება თბილისის ღურგლების ამქრის უსტაბაშის წერილი იმ პატარა შენიშვნაზედ, რომელიც ჩვენს გაზეთის 65 ნომერში იყო მოყვანილი ერთის შაგირდის სარდაფში დატუსაღებაზედ და თითქმის ორის დღის განმავლობაში მშვიერ-მწყურვალედ დატოვებულა.

უსტაბაში ხელოვანს ამართლებს და თვის თავსაც იმართლებს, რომ ხელოვანს გაექცა ის შაგირდიო და დედამ მისმა ითხოვა იმის დასჯაო.

აიდეც მართალი რომ იყოს ბ. უსტაბაში, მართლაც რომ გაქცეულიყოს შაგირდი თავის ოსტატისაგან, დედასაც რომ ეთხოვოს იმის დასჯა, განა ყველა ეს იმას გაამართლებს? რატომ არ გამოიძია ბ. უსტაბაშმა—რისთვის გაექცა ის შაგირდი თავის ოსტატს? რატომ აღარ უნდოდა იმასთან მუშაობა და ყოფნა? მსტკვათ, სულ უმიზნოთაც გაიქცა ყმაწვილი; ვსტკვათ, ეშმაკობა, ცელქობა მოუწა და იმითამ გაიქცა—განა ეს აძლევს ვისმეს უფლებას, რომ ასე უღმეროდ დასაჯოს ყმაწვილი, როგორც ზემოხსენებულ „დროების“ მე-65 ნომერში იყო ნაამბობი? ორი დღე რომ ოსტატმა მყარად, ნოტიო სარდაფში, უქმელ-უსმელი ჩამწყვდილოს შაგირდი, ამისთანა შაგირდი მერე გულით იქნება იმ ოსტატთან, რა გულით ისწავლის თავის ხელობას?

პირველი მაგალითი არ არის, რომ ამისთანა ამბები გვეხმის ჩვენს ხელოვნებზე და იმით საბრალო შაგირდებზე. პირველი მაგალითი არ არის, რომ ქალაქის ოსტატები და უსტაბაშები ამისთანა პედაგოგიურ საშუალებას ხმარობენ თავიანთ შაგირდების გასაწერთელად.

მთავრობაც და ქალაქის გამგეობაც ვალდებულია, რომ ამ გარემოებას, ამ შაგირდების შესაძრუნებელ მდგომარეობას ყურადღება მიაქციოს და მოახერხოს, რომ შაგირდები განთავისუფლებულნი იყვნენ თავიანთ ოსტატებისაგან უპოწყალო ცემა-ტყეპას, სარდაფებში ჩამწყვდილას და საზოგადოთ მხეცურ მოპყრობას. ამისთანა ოსტატების ხელიდამ არის, რომ ნამდვილი ჯიბგირები და გაფუჭებული ხასიათის პატრონები გამოდიან და არა ხელოვნები. ღანუ თუ ამას მთავრობასა და საზოგადოების ყურადღება არ უნდა ჰქონდეს მიქცეულიო.

ახალი ამბები.

შარშან ჩვენს გაზეთის რამდენსამე ნომერში დაბეჭდილი იყო ვილაყ მენის გაკოტრებულ ფაბრიკანტის განცხადება, რომ შეიღ მანეთად იმდენ ვერცხლის ნიეთებს, მიიღებს, რომ შეიღ თუმნად ღირსო.

რამდენიმე ჩვენი ხელის-მომწერლები მოტყუებულან ამ განცხადებით და გამოცხადებულის ადრესით გაუზნენათ ფული ამ ნიეთების მისაღებად. ზოგს ამთვანს მიუღია ნიეთები, რომელიც, რასაკვირველია, ვერცხლის არ გამომდგარა და მეორე კვირაში სრულდებით გაშაგებულა; ზოგს სულაც არაფერი არ მიუღია.

ზოგიერთი ამ გვარად მოტყუებულნი პირები ჩვენ გვესაყვედურებიან ახლა: თქვენს გაზეთში იყო დაბეჭდილიო, რათ მოგვატყუეთო.

ამის გამო საჭიროდ ვრაცხთ ერთხელ-და-სამუდამოთ გამოაცხადოთ, რომ რედაქცია განცხადებების შესახებ პასუხის-გებას ვერ იკისრებს; შეიძლება შარლატანური განცხადება იყოს გაზეთში დაბეჭდილი, ეს ჩვენ არ შეგვეგება, მკითხველი უნდა მიხედეს, არ უნდა მოტყუედეს, თორემ ჩვენ აქ ვერას ვუშველით.

ზემო-იმერეთიდან გვწერენ: „მთელი შორაპნის მახრა აიკლეს ავაზაკებმა. დღე არ გათენდება, რომ ან ოჯახის გაქურდება და ან ცხენის მოპარვა არ შეიტყუოთ.

წასრულ კვირაში ს. ილიემ ერთ მდიდარ მაჭავარიანს შეუშტვრიეს კარი, პატრონი მძიმეთ დასჭრეს და მის ცოლს დააძებნინეს 3,000 მანეთი და წაპრძანდნენ. ეს ქურდები მასპინძელმა იცნო, ნიშანიც დარჩათ, პირში უღვიან; მაგრამ შეცდა რომ მოწამე ვერ დაესწროთ და უმოწმოთ რა იქნება...

ერთ მღვდელს მაჭავარიანსეც 14 მარტს სიმბირიდან გამოქცეულმა ავაზაკებმა ჯო.რი მოპარეს; მღვდელი გაედევნა ქურდს ოჯახამდი და ვაჭრობა შეექმნათ ჯორზედ; ბოლოს პატრონმა მისცა 50 მან. და ჯორი დაიხსნა შემდეგი მცნებით: უკეთუ სადმე გაამხილენ, მაშინ სულ ამოგსრესთო.

იმავე დღეს ერთ შანჩაველს მოპარეს იმავე ავაზაკებმა ცხენი და იმავე დარბევით 30 მანეთით დაახსენინეს.

ასე ხშირად ხდება ამ გვარი საქმეები, მაგრამ არც პოლიცია სცემს ხმას და ხვეის-თავები ბინადრობასაც

აძლევენ. იმ გვარდნილ ავაზაკებზე ბრძანება იყო შუთათისის ლუბერნატორისა, რომ ასი ყაზახი-რუსი ჩაეყენებიათ მათ ნათესავეებისა და მობინადრებისათვის, მაგრამ ეს ჯერ ცარიელი სიტყვა დარჩა, და ეხლა დღისითაც კი ნავარდობენ, თორემ ღამე ვინაა პატრონი!

სოფ. ქულაშიდამ გვეწერენ, რომ ამ თვის 15-ს, ჯერ იქაურ ნორმალურ სასწავლებელში და მერე ქულაშის ჰეარ-ცმის ეკლესიაზედ გარდაუხდიათ პანაშვიდი მიცვალეულ იმპერატორისათვის. ეკლესიაზედ განსაკუთრებით დიდ-ძალი ხალხი დასწრებია, ყველა ადგილობრივი თავდაზნაურობა და მრავალი გლეხები. პანაშვიდის გარდახდის შემდეგ თავდაზნაურობის მყოფ წინამძღოლს თ. ა. ტ. მიქელაძეს წარმოუთქვამს გრძობით საესე სიტყვა მიცვალეულ იმპერატორის დიდს მნიშვნელობაზედ და თავის სიტყვა დაუსრულებია ვედრებით, რომ „სამლოთო მადლმა მის მემკვიდრეს ახალ იმპერატორს, ალექსანდრე მესამეს, მისცეს ძალა აღსასრულებლად იმ კეთილთა განზრახვათა, რომლის აღსრულება არ დასცალდა დიდებულსა მშობელსა მისსა“.


ამ სიტყვას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მებრძოვილ ხალხზე.

ერთი „ქურდებისგან გაცარცული“ მცხოვრები ქალაქ შოთისა შემდეგ ამბავს გვწერს ამ ქალაქიდან:

„მს მესამე კვირა მიდის, რაც ძალიან გახშირდა ჩვენში ქურდობა. ღამე ისე არ გავა, რომ ორი და სამი სახლი ანუ ლუქანი არ გაქურდონ, ანუ არავინ გასცარცონ სადმე ქუჩაში. შედამდება თუ არა, მაშინვე ჩვენს სახლებს უნდა მივაშუროთ; მეზობლისას გადასვლა გაგვჭირებია, გვემინიან მცარცვალები არ შეგვხდნენ.

„მს ბატონები ისე გაკადნიერებულან, რომ კარგი სბორსჩიკივით ყველასთან მიდიან, არავის არ სტოვენენ! ამდამ რომ ერთს ოჯახს ესტუმრებიან, ხუთი დღის შემდეგ იმის მეზობლებთან მიდიან. ამ ხუთს დღეს სხვა-და-სხვა ქუჩებში სტუმრობენ. აღარც სახლის და აღარც სამზარეულო მოწყობილობა აღარ დასტოვენს.

პოლიციას ამაში დანაშაული არა აქვს-რა: რა ვიცი, შეიძლება, ძალიან მხნეთ არის და ქურდებსაც საკმაოდ იჭერს. დანაშაულობა იმისია, ვინც



პოლიციის თუ მცხოვრებლების და-  
ქერილს ქურდებს თავდებობით უშ-  
ვებს: ტრუბაჩისტს დაიჭერენ, ფიჩი-  
კი უდგება თავდებად, არღანჩიკს და-  
იჭერენ, საპოლიციო თავდებობს; ერ-  
თის სიტყვით, ამ პატრონებს სათავ-  
დებო კაცები მზათ ჰყავთ; როგორც  
რამე შემთხვევით, მაშინვე დაიყე-  
ნებს თავდებს და განთავისუფლებს.  
შრიგო არ იქნება ეს პატრონები ასე  
ადვილად თავდებობით აღარ გან-  
თავისუფლონ, თორემ, თქვენი მტე-  
რი, არამც თუ ღამე, იქნება დღისი-  
თაც აღარ დაგვხოვონ“.

\* \*

ზორილამ შემდეგ ამბავს გვწერენ  
29 მარტს:

„მოგახსენებთ, რომ წარსულს  
წლებში მდინარე ლიხემა წმინდა-  
წყლის და ახალ-პასელენის მცხოვ-  
რები რა წაირ წაღეს; მაგრამ საცო-  
დავებმა სხვა-და-სხვა იმედებით ისევე  
ხელი მოჰკიდეს თავიანთ ადგილებს,  
ისევე მიაკერ-მოაკერეს სახლები თუ  
ბალები და შეიფარეს თავები.“

„საუბედუროთ ამ იმედებმა და  
შრომამ კიდევ ამოთ ჩაუარათ: ამ  
კვირია მოვარდა ისევ ლიხევი და  
ისეთ წაირათ გადმოვარდე ქალაქის-  
კენ, რომ ვისაც კი უნახავს ზორის  
ციხე და დასავლეთით ციხიდან ჩასა-  
სვლელი გვირაბები, ზედა სცემს წყა-  
ლი და სოლომან მირიანოვის ბაღის  
ბოლოში უტრიალდება. რომ ციხი-  
დამ გადაიხედოთ, იალტიდამ შავს  
ზღვას არ დაჰყურებთ, ისეთ წაირათ  
გაიშალა ლიხევი. მართალია იალტა  
და ზორი ერთმანეთს არა ჰგავან, მაგ-  
რამ ლიხევი წყი მოგაგონებსთ შვე-  
ზღვას.“

„დღეს როგორც ლიხემა კვალი  
გაიკეთა, თუ ნახევარი არ შინი კიდევ  
მოიპატა წყალმა, მაშინ სულუხის  
წყალს შეურთდება, იქილამ ახლათ  
ამენებულ ს. ლამბროვის ქვითკირის  
კაზარმას მიეცემა და იქილამ ზორის  
ერთად-ერთ საუკეთესო „სახელმწიფო“  
ქუჩას მიეცემა.“

„ისეთ ვაკირებებაში არიან წმინდა-  
წყლის მცხოვრები და ახალ-პასელენი-  
სა, რომ დაპირებით ვერც თუ მოქმე-  
დებით მოეხმარებთ ვინმე ამათ; მხო-  
ლოთ ეცადონ ჩქარა დასცალონ  
სახლები და თუ შენობასაც დაშლი-  
ან, უკეთესი იქნება, თორემ, ზემო-  
თაც ეთქვი, ისეთი კვალი გაიკეთა  
წყალმა, შეიძლება სულელები ცეცხარ  
გადაწარჩუნონ. ბევრის დედა გვინა-  
ხამს ლიხევისგან ატირებული.“

აღ. თუთაივი.

„P. S. მს წერილი დაწერილი  
შკონდა, როცა შემომიტანეს ამბავი,  
წმინდა-წყლის და პასელენის მცხო-  
ვრები მიაქესო. რომ ჭორი არ ყო-  
ფილიყო, გაველ და ჩემის თვალით  
ენახე:“

წმინდა-წყალზედ დაუნგრევია ორ  
ატაყიანი ქვითკირის სახლი მასწავ-  
ლებლის პავლე ზურჯანაძისა, მოუ-  
ტაცია მთლათ საათაშვილების ბაღი  
და შემოვლელი მუხის ხით ფეც-

რის ღობე იქვე არბორიშვილის და  
ზოგიაშვილის სახლი მიაქეს; გაუტე-  
ხია ციხის ძირში მაგარი ყარე და  
შვერთვია წყალი სულუხის-წყალს და  
ამაყათ ჩამოდის ახლათ ამენებულ  
ლამბროვის კაზარმას, კაზარმაც და-  
სცალეს რუხებმა; აქელამ მისცემია  
პასელენიას, მერცინსკის, ბარამოვის,  
გვარამაძის, ხითაროვის და აბრამოვის  
სახლები მიაქეს.

როგორც ეტყობა ამ წვიმებს,  
მთლად ასწმენდს აქაურობას და ხიდ-  
საც ზედ მიადევნებს, ჩადვანაც წყალი  
ბურჯებს გადადის. მსეც თუ წაიღო,  
მაშინ ვიქნებით ბედნიერები ზორე-  
ლები“.

\* \*

ჩვენ მივიღეთ მუთათისილამ შემდეგი  
შენიშნვა ახლად მიცვალბულ ფრან-  
გის პატრის ღონ-ანტონიოს შესა-  
ხებთ:

„28 მარტს განთიადს კათოლიკე  
ეკლესიის მწუხარე ზარებმა შეატყო-  
ბინა მრევლს გარდაცვალბება ამ ეკ-  
ლესიის წინამძღვარისა ღონ-ანტონ  
ზლახოვისა. ხალხი დიდი თუ პატარა,  
ჯგუფ-ჯგუფად გროვდებოდა მონას-  
ტრის კარებთან და ყოველს სახეზედ  
გამოხატული იყო დიდი მწუხარება;  
ტირილიც ისმოდა და იღვრებოდა  
ტრემლები უმეტესათ ქალებისაგან.“

„მიცვალბულს სწავლა მიღებული  
ჰქონდა სამზღვარს გარეთ; საფუძვლი-  
ნათ იცოდა ღეთის მეტყველება, ის-  
ტორია და ფილოსოფია, რასაკვირვე-  
ლია, იმ სახით, რა სახითაც გადმო-  
ცემული აქეთ კათოლიკე სამღვე-  
ლოებას საშუალ საუკუნებისაგან.“

„38 წელიწადი იყო ის წინამძღვა-  
რად მუთათისის კათოლიკეებისა; ამ  
ხანგრძლივ წინამძღვარობაში ოდნა-  
ვათაც არ შეუცვლია თავისი მიმარ-  
თულება. მს იყო ნამდვილი შეილი  
რომისა; მის ქადაგებებში ხშირათ  
ისმოდა მოთქმა და მწუხარება კათო-  
ლიკე ეკლესიის დევნაზედ.“

„მიცვალბულის უანგარო ცხოვ-  
რება სამავალითო იყო. მან დიდი  
ღვაწლი დადო აქაურ მშვენიერ ეკ-  
ლესიის ამენებაზედ; მისი მეცადინეო-  
ბით ამენდა მშვენიერი მონასტერი  
და საქალო სასწავლებელი.“

„დღეს ჩვენი სურვილი მხოლოდ  
ეს არის, რომ მისმა მოადგილემ  
იმოქმედოს ღვთის მოთხოვნილე-  
ბის-და-გვარ. მათი გავლენა ერზედ  
დიდა და თუ ამ გავლენას მიეცა  
კარგი მიმართულება, ის უმეტრობა,  
რომელმაც ასე მაგრათ გაიდგა ფეხი  
აქაურ კათოლიკე საზოგადოებაში,  
შემკირდება.“

მოსაზება ფანტიკობისა, სასწავლებ-  
ლების დაარსება ახალ წესზედ და შე-  
წივნა ღარიბ მოსწავლეთ, უნდა იყოს  
უპირველესი მიზანი ახალი კათოლი-  
კეების ეკლესიის წინამძღვარისა“.

ალექ. აკოფოვი.

\* \*

დღეს, პირველს აპრილს, გამოვად-  
და დაურიდდა ხელის-მომწერლებს  
მეოთხე (აპრილს) წიგნი ქურნალის  
„იკგინის“. შინაარსი: I ბირველი მარ-

ტი 1881 წლის... II კეკელიძის მო-  
ღვაწი, რომანი ო. ზოდლსმიტისა  
(შემდეგი).— III სიზმარი (ლექსი) აკა-  
კისა. IV რუსეთის ქვანახედი მდგო-  
მარება (სტატია პირველი) ბ. თ. მ.—  
სა.— V საყვედური (ლექსი) აკაკისა.  
— VI ორ ცეცხლ-შუა (*Les supplices  
d'une femme*) სამ მოქმედებიანი  
დრამა მილ-დე-პირარდენისა.— VII  
დედა-ქანა (ლექსი) თ. რაფ. პრისტისა.  
VIII გადაკარგული მხარე „ხევისურები  
და ხევისურეთი“ თხზულება ბ. რად-  
დესი.— IX ახალი წიგნები „ღვთითა-  
ნი“— „მწველი და ფრინველი“. —  
X „იმედის“ ბელეტრისტიკა. („შემთხვე-  
ვის მხნევერბლი“ თხზ. ბ. შრელა-  
შვილისა და „მარტინთან პაპა“ მოთხრ.  
შაქროსი).— XI განცხადება.

ლექსიები ჰარტოულს ენაზედ.

წარსულს კვირას, 29 მარტს, არწო-  
რის თეატრში დაპირებისა-მებრ დაი-  
წყო ლექსები ბ-მა აკ. შერეთელ-  
მა. რადვანაც ა. შერეთლისგან  
სამი ლექსია იქნება წაკითხული,  
ერთსა და იმავე საგანზედ, ამისთვის  
მე საქიროთა ვხედავ, რომ ჯერ სა-  
მივე ლექსია მოვისმინო, გადმოგეთ  
იმათი შინაარსი და შემდეგ შეუდგე  
იმათ გარჩევას. მს ლექსები შეეხება  
„კეფისის-ტუაჰასის“, და მასმასადამე  
დიდს საინტერესო საგანს ჩვენი სო-  
ციალურისათვის, რომელსაც ისე ეტი-  
რება, „შემოწმებება, კრიტიკული გან-  
ხილვა, და ცოცხალი სიტყვა. პროგ-  
რამმა პირველი ლექსისა, შეიძლება  
მოსამზადებლს შესავალათ ჩეთვა-  
ლოთ შემდეგის ლექსებისათვის.“

ლექტორმა დაიწყო თავისი საუბა-  
რი ზღაპრით: ერთს ესაწინიელ მონა-  
ღირეს, რომელსაც რამდენიმე სახელი  
ერქვა, დაღამებოდა, მისდგომოდა  
ერთს კაცს კარზედ, რათა ღამის გა-  
სატარებლათ შინ შეეშეა. სახლის  
პატრონს ეკითხა სახელი. მონადირე  
მოჰყოლოდა თავის მრავალ-რიცხო-  
ვანს სახელებს. სახლის პატრონს მთე-  
ლი ჯარი ჰგონებოდა, კარი არ გაე-  
ლო და მონადირე გარეთ დარჩენი-  
ლიყო.

მავეგ მიზეზი არის, ლექტორის აზრით,  
რომ საქვეყნო ისტორიაში საქართვე-  
ლო ასე ნაკლებად არის მოხსენებუ-  
ლი. საქართველოს ძველადგან ჰქონდა  
მრავალი სახელები და ამის მიზეზით,  
სხვა-და-სხვა სახელებით არის მოხსენ-  
ებული და ერთად კი არა.

მეორე მოიყვანა ქართული ენის  
სიმდიდრე, რომელსაც სხვა ენების  
შემოსვლამ და სხვა ხაზონებისგან სა-  
ქართველოს გარს შემოართვემ ვერა  
დააკლო-რა. შესადარებლათ მოიყვან-  
ა შემდეგი მაგალითი: ერთს სტაქანს  
წყალში რომ რამდენიმე წვეთი ღვი-  
ნო გაერიოს, ფერს უცვლის და ერთს  
სტაქანს ღვინოში კი რამდენიმე წვე-  
თი წყალი რომ გაურიოთ, არც ფერს  
იცვლის და არც ძალას.

ჩვენ რომ ჩვენს ქვეყანას ვერ ვი-  
ნობთ ამის მიზეზი, ლექტორის აზრით,

ის პოლიტიკური მდგომარეობა არის,  
რომელმაც გააკლეს მსჯელობა  
თველოს ნაწილები და ამ გაცალ-  
კვებამ გავიტეხა გული და გადა-  
გვწყვიტა იმედი მომავალზედაც.  
მაგრამ ეს შეცდომილება არისო. სა-  
ქართველო მიემგზავსემა ჩონგურს,  
რომლის სიმებიც ცალ-ცალკე არაგი-  
თარს სასიამოვნო ხმას არ გამოიღებს,  
მაშინ როდესაც გარმონიულად ერთ-  
მანეთთან შეწყობილი, გამოსცემენ  
სასიამოვნო და ძალოვანს ხმებს.

საქართველოს ცხოვრება ლექტორ-  
მა მიამგზავსა პრომეთეოსის მდგომარეობას,  
რომელიც ჯაკეთ იყო მი-  
კრული ძაქვისის მთებზედ და ფრინ-  
ველები თავისუფლათ ჰკორტინდენ  
იმის გულ-მუცელს; მაგრამ რალაცა  
ძალით პრომეთეოსს ისევ შეევესებოდა  
ნაკორტნი და ნაგლეჯი ხორცები. ამ  
გვარათ საქართველოსაც თუმცა ჰგლე-  
ჯდენ და ფლეთდენ, მაგრამ უნი-  
ლაფი ძალა ისევ ჩქარა აესებს იმის  
დანაკლისს.

ამის შემდეგ ლექტორი გადავიდა  
საქართველოს ხალხის ხასიათების გამო-  
ხატვაზედ. პირველათ დაიწყო ქართლე-  
ლებზედ, რომლებიც წარმოგვიდგინა  
მკვებარებათ, წარა-მარა მროშაგებათ,  
პირ-და-პირ დაუფოკრებელ მთქმელე-  
ბათ, რომლებსაც პირ-და-პირი ლაპა-  
რაკიც კი, უფრო სიყვეყით მოსდისთ,  
სანამ იმ გულადობით, რომლის სა-  
ხელიც ძველადგანე დაუმსახურებიათ.  
მეორე შევიდა იმის გარჩევაში თუ რა  
მიზეზი უნდა იყოს ქართლელოს პირ-  
და-პირობისა?... სიგულადე და პა-  
ტირანება, თუ ის იმედ-გადაწყვეტი-  
ლება, რომელიც კაცს მოაზრების ნე-  
ბასაც აღარ აძლევს და იძახის, „რომ  
უნდა გავისრისოო და ბარემ ისევ  
პირ-და-პირ შევეწარცხებოო“. ლექ-  
ტორის აზრით, ამ უკანასკნელით  
ხელმძღვანელობს ქართლელი.

იმერელი აგვიწერა გაიძვერათ მილე-  
ქნილის ენით და გაქნილის ხასიათით,  
რომელიც თქვენი კენ რომ მოდიოდეს  
და კარგითაც გხედავდესთ, სანამ წინ  
არ შეგეფეთებთ, ვითომ ვერ გამჩნე-  
ვდათ. სწორეთ წამოსვლა რომ უნ-  
დოდეს და გზაცა სწორე ჰქონდეს,  
ის პირველათ მაინც მიუხე-მოუხევეს  
და მეორე მოვა. ძაცის გალანძღვა  
რომ უნდოდეს, პირველათ, ქებით  
დაიწყებს, მაგრამ იმ გვარის ქებით,  
რომ ლანძღვას არჩევდით. მოლაპარა-  
კეს შეიტყუილებს და იმას ათქმევი-  
ნებს, რისიც თქმა თითონ უნდოდა.  
ამ ბარზედ ლაპარაკი რომ უნდოდეს,  
იმ ბარზედ დაგვიწყებს ლაპარაკს.

ლექტორის აზრით ამის მიზეზი ის  
გახლავსთ, რომ იმერლებს იმედი არ  
გადაწყვეტიათ, არ შემდგარან თავი-  
ანთ მიმდინარეობაში და, თუ ჟამთა  
ვითარებას პირდა-პირი გზა შეუტყავს,  
იმათ მაინც მოუხერხებთ გზის აქცე-  
ვა და გაძრომ-გამოძრომით დაუდ-  
გრომელათ წინ წაწევა. მრთის სიტ-  
ყვით, ესენი არიან ისეთი პოლიტიკე-  
ბი, რომ ყველა მათგანი „ბისმარკს  
თვალებს აუხვევს წყალზედ ჩაიყვანს,

წყალს დააღვინებს და უკან ისე ამოიყვანს, რომ ვერც კი ვაიგებს.

მეგრელები—პოეტები არიან. მერ ვაიგებთ—რა უნდათ, რას ითხოვენ, რას ლაპარაკობენ. ლაპარაკობენ მხოლოდ იმისთვის, რომ ილაპარაკონ და იმას—კი აღარ დასდევნენ, რის თქმა უნდათ და რას ანობენ. ნიჭით ისინი იმერლებზე მაღლა დგანან.

ზურგულები—ლხინისათვის გაჩენილი ხალხია. ლხინში ღმერთმა მოგცესთ,—ჭირში—გაშორდასთ.

სუბანები—ზარმაცნი და დაუღვევარნი.

სეანები—„მთაში, ღმერთთან ახლოს დგანან“, ღვთის შვილები არიან.

ამითი გათავდა, ხარაქტერისტიკა. არაფერი არა ყოფილა ფქმული მთიულებზე, რომელთ სახელიც პრაგამაში იყო მოყვანილი.

მაგრამ ამაზედ შემდეგ, დასაბოლოებელ სიტყვაში, წარმოსთქვა ა. ჟერტილმა, რომ იმას იმედი აქვს ახალი თაობა შეიმუშავებს თავთავის ქვეყნის ხარაქტერისტიკას და ამითი ისინი მასალას დაუმზადებენ მომავალ შთამომავლობას ჩვენი ხალხის გასაცნობად.

საზოგადოების მომეტებული წილი მადლობელი დარჩა ლექციისა.

ტაში იყო მრავალი, ლექტორი რაოდენჯერმე გამოიხმეს.

ა. მახსუბარძიკე.

„ღრუპის“ კორრესპონდენცია.

სოფ. მაჩნაძიანი, 21 მარტს. ღღევანდელი კორრესპონდენცია ისევე ჩვენ მღვდელზედ უნდა დავიწყო და იმითივე გავათავო. რა გქნა, ისეთი შესანიშნავი მღვდელი გვყავს, რომ არ შემოძლიან „ღროების“ მკითხველებს არ ვაეცნო.

იმ დროს, როდესაც აქ, ეჩნაძიანში, ხალხი იქლიტებოდა საშინელი ავთუმყოფობით—„სოფლით“—(ინილი „ღროება“, 12 თებერვლის), იმის მაგიერათ, რომ ამ სულიერ მამას ხალხისათვის ნუგეში ეცა, გული გამაგრებინა და რავე რჩევა მიეცა, ის დაძვრებოდა აქა-იქა და „რალაქა ქალაქად“ ხელს აწერინებდა, ვისაც კი დაიხელავდა.

აქ უნდა შემოკლებით გიამბოთ ის მიზეზი, რამაც ისეთი თავ-ზარი დასცა ჩვენ სულიერ მამას: სოფ. მაჩნაძიანის სამრევლო საყდარი არის აშენებული ერთი თავადიშვილის სახლის წინ; ამ თავადიშვილისგანვე იყო ის განახლებული დასაოფლოთ შეწირული, თავის გზით და ეზოთი. მღვდელი ცხოვრობს იქვე ახლო, ზემო ნახსენებ თავადიშვილის განაყარის მამულზედ, ასე რომ საყდრის და მღვდლის სახლის შუა ძვეს მამული ეკლესიის ამშენებლისა, რომელიც დარდალინათ ეგდო და მემამულეს არაფერი გამოარჩობა არა ჰქონდა ამ მამულიდამ.

შარშან როგორღაც, ქუთუმი მოუვიდა პატრონს იმისი შამოლობა და სიმინდის დათესა, რისგამოც მღვდლის ნაზირს სეირნობა და თვით მღვდელსაც საყდრის „შემოკლებული“ გზა მოეშალათ. ეს ამბავი მღვდელს არ ებიტნაფა. აუღია იმას ქალაქი, საწერ-კალამი და შეუდგენია სოფლის მაგიერათ პროტოკოლი იმაზედ, რომ, ვითომც სოფელს ჰსურს ძველი (ამიდასტურის) ეკლესიის გაკეთება სამრევლო ეკლესიათ, რადგანაც აწინდელს არა აქვს არც ეზო, არც გზა და თვით ეკლესიაც პატარა არისო, ასე რომ მრევლი ვერა თავსდება შიგაო. შემდეგ აუღია თვისი კვერთხი მამა მღვდელს და ვისაც მოასწრობდა: მძვროხეებს და მელორეებს, თავიანთ სამწყემსოში მიმავალთ, ან სამუშაოთ გამგზავრებულთ ტყე-მინდორში, მაშინვე მიძახებდა მათ: „ეი, კაცო მოიცა პატარა ხანს, შენთან საქმე მაქვს“ და გაუმჟღავნებდა თავის გულის ბოლმას: ამიდასტური უნდა გზამშვენაფოთ და ხელი მოაწერო. ბლენი-კაციც, საქმეზე მიმავალი, გულის-ყურს არ ადევნებს ამ წინადადებას და ეუბნება: „მამაო დამწერე, რა უნდა გამიხდესო.“ იმ საცოდავს „გამშენიერება“ ისე ეგონა, რომ ან ეზოს ყორეს მიაღაგ-მოაღაგებინებდნენ, ან ლობეს გამაგრებინებდნენ და სხვა ამისთანებს. ის კი არა თუ მღვდელს სხვა განძახება ჰქონდა და გლენხმა რა იცოდა.

ამ რიგათ სხვებსაც ბევრს მოაწერინა ხელი და ან თვითვე ჩასწერა, იმისივე თხოვნით. ბოლოს ეს, უმეტესი ხელის-მომწერლებისაგან უხილავი და უცნობი, პროტოკოლი მღვდელმა წარადგინა სოფლის საზოგადოების სასამართლოში, ოთხი-ხუთი კაცის თანა დასწრებით (და არა სოფლის საზოგადოების), დასამტკიცებლად. მრთმა მოსამართლეთაგანმა „ღორიჯკნიზის“ ნაყმემა თანხმობა გამოაცხადა პროტოკოლზე, ბეჭდის დასმითა. ღანარჩენ ორ მოსამართლეთ გამოცხადებინათ უარი პროტოკოლის შემოწმებისა, ვითარცა უკანონოთ წარადგენილს სასამართლოს წინაშე, რადგანაც ამ გვარი სასოფლო გარდაწყვეტილება უნდა იქმნეს წარდგენილი სასართლოში თვით სოფლის საზოგადოების საერთო ვრილობისაგან, და არა ერთი-ორი კერძო სოფლის პირისაგან, და უმეტეს მღვდლი საგან.

რა დაენახა მღვდელს, რომ საქმე გაჭირდა, შეეჯივა თავისებურათ: მსაჯულნო, გაგიწყრეთ ჩემი მაკურთხებლის მადლი, ამოგიწყდეთ ცოლ-შვილი, თუ ექვანაჩენი არ დამიმტკიცეთ!

მსაჯულნი იძულებულნი იყვნენ დაესვათ ბეჭედი და მით შემოწმებინათ ყალბი განაჩენი. იმათ, შემდეგ რამდენიმე ხნისა, ეს შემთხვევა მოეხსენებინათ თვით მამა ბლალოჩინისათვის, რომელიც ჩამობრძანდა ს. მაჩნაძიანში.

ამ გვრათ შედგენილი განაჩენი და ამ სახითვე შემოწმებული სოფ. მაჩნაძიანის საზოგადოების სასამართლოში მამა მღვდელს ლ. აბ. მიერთმეინა თელავის მაზრის ბლალოჩინისათვის მ. ხ. წარსადგენათ საქართველოს არხივისკოპოსთან, რომელსაც კიდევ წარედგინა და შემდეგ რამდენიმე ხნისა სოფ. მაჩნაძიანის თავადთა და გლეხთ შეიტყეს, რომ ექსარხოსისაგან ნება-რთვა მოსვლია მღვდელს ლ. აბ.—ს დანგრეული ამიდასტურის ეკლესიის გაკეთებისა. ამ ამბის შეტყობამ ფრიად შეაძრწუნა და ააღელვა სოფლის უმეტესი ნაწილი თავადებისა და გლეხ-კაცობა:

შემდეგ ამისა ერთ კვირა დღეს მოეხდინათ საერთო სასოფლო ყრილობა, რომელზედაც დასწრებოდა უმეტესი ნაწილი მცხოვრებლებისა და საქმის საფუძელიანათ განსჯის შემდეგ დედგინათ შემდეგი გარდაწყვეტილობა:

ჩვენ ქვემოთ ამისა ხელის მომწერი სოფ. მაჩნაძიანის საზოგადოების მცხოვრებნი ვაცხადებთ: ძველი დაქცეული ამიდასტურის ეკლესიის განახლება ჩვენ არ ძალ-გვიძს, რადგანაც მეტის-მეტმა სიღარიბემ და სისაწყლემ ძალიან უკან დასწივა ჩვენი ოჯახები და, რომ უარესი დღე თავიდამ ავიცდინოთ, ამისა გამო უარს ვამბობთ ძველის ეკლესიის გაკეთებას, მით უფრო, რომ ჩვენს აწინდელს სამრევლო ეკლესიას გზაც აქვს, ეზოც და არც სიპატარით დაიწუნება, რომლისათვისაც არის შედგენილი ეს პროტოკოლი.

ამ განაჩენზე ას კომლზედ მეტს უწერია ხელი. შემდეგ ამისა მთელმა ხალხმა ერთ-ხმათ სთხოვა სამთავე სოფლის მოსამართლეთ ეს განაჩენი შემოწმებინათ. აქაც, რასაკვირველია, გამოიჩინა თავისი გამჭირაობა და შორს-მხედველობა მოსამართლემ იორდანე მარდიანიშვილმა, რომელმაც, თუმცა უარი განაცხადა განაჩენის შემოწმებაზედ, მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქმნა მთელი საზოგადოების თხოვნით ბეჭედი დაესო. ეს შემოწმებული განაჩენი საზოგადოებამ წარუდგინა თელავის მაზრის ბლალოჩინს მ. ხ. წარსადგენათ ყოველდღე სამრევლო საქართველოს არხივისკოპოსთან.

განაჩენის წარდგენის შემდეგ თელავის ბლალოჩინი ჩამობრძანდა სოფ. მაჩნაძიანს იმის შესატყობათ, რომ მართლა სურთ, თუ არა განაჩენის აღნიშნულ ადგილამდის მიღწევა. როდესაც მან ჰკითხა საზოგადოებას: ვისაც სურს ამიდასტურის განახლება და ვის არა, ცალკ-ცალკე დამდგარიყვნენ, მაშინ ამკარათ აღმოჩნდა, რომ „არა“-ს მთქმელი იყო სამი წილი და „ჰო“-ს მთქმელი კი ერთი მეოთხედიც ძლივს იქნებოდა.

მაგრამ ამისა-და-მიუხედავათ უმრავლესობისაგან დადგენილი განაჩენი ბლალოჩინს დღესაც თავის სახლში უძევს და არა ჰგზავნის ეგზარხოსთან. ამ მიზეზისა გამო სოფ. საზოგადოება

იძულებული იყო ხელმეორეთ შეეკრილიყო. ეს ყრილობა მოხდა კვირას 15 მარტს, რომელზედაც „გადაწყვეტილებს—გამოიტანონ განაჩენის პირი და შემოწმებული სოფლის საზოგადოებისაგან წარუდგინონ პირ და პირ ეგზარხოსს. აქაც კიდევ სოფლის საზოგადოებას შეურაცყოფა მიაყენა მოსამართლე მარდიანიშვილმა, რომელმაც, არამც თუ თითონ არ შემოწმავს კობიო, არამედ კანცელარიის გასაღები წაფლო და გაქცეულიყო დიდის მუქარით, რომ მე სოფელიც ფეხებზედ მკიდიაო და იმის გადაწყვეტილებაცაო.

რადგანაც კანცელარია დაკეტილი იყო, ველარც იმის მოსამართლეთ დასავეს ბეჭედი და ამ სახით ის განაჩენის კობიო დარჩა შეუმოწმებელი დღესაც. ახლა სოფ. საზოგადოება აპირებს საჩივრის შეტანას სოფ. მოსამართლეებზედ და ჩვენც სრული იმედი გვაქვს მაზრის უფროსი მიიღებს მხურვალე მონაწილეობას ხალხის მწუხარებისაგან დახსნაში და ჯეროვან სასჯელს მიაყენებს დამნაშავე პირთ.

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! „ღროების“ მე-6 ნომერში წავიკითხეთ შენიშვნა, რომელშიაც უცნობი მთარეველი შაგირდებისა აცხადებს შაგირდი სანდრო შიჭინაძეს უკანონოთ დატუსალებას. ამისათვის მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს გამოვაცხადო, რომ შიჭინაძე მთლათ ღირსი იყო ორის საათით დატუსალებისა, და არა ორის დღით, როგორც ამტკიცებს უცნობი კარესპონდენტი. შაგირდის ოსტატს სრულებით ქარხანა არ დაუკეტნია და შაგირდიც, ჩემის განკარგულებით და თავისი დედის ბრძანებით, ისევე მივიდა თავის ოსტატთან და შეუდგა ხელობის სწავლას.

მეორეც ვთხოვ უცნობს ავტორს, რომ შემდეგში არ გაუგონოს მცირეწლოვან ყმარწვილებს და იმისთანა შეცდომა აღარ მოახდინოს, რომ ამისთანა საქმის გამგონმა შაგირდებმა არ გაანებონ ხელობას თავი და ამწვანებულს ორთაქალაში არ ირბინონ სათევზაოთ და საუკუნოთ არ დაიკარგნენ სულით-ხორცით, არ გამრავლონ ჯიბგირების რიცხვი, რომლითაც ჩვენი თფილისი უიმისოთაც მდიდარია.

სტალიანების ამქრის უსტახაში სერგეი მამაჯანაოვი. თფილისი, 30-ს მარტს.

უცხოეთი

შვეიცარია. საზოგადოთ შეეცარიის გაზეთები წინააღმდეგნი არიან ყოველ-გვარი სოციალისტების კრების დაშლისა. შვეიცარია უცხო სახელმწიფოების გულის მოსაგებად არ



უნდა ასცდეს კონსტიტუციამ დადგენილ წესებს. საერთო მოლაპარაკებით უნდა გარდასწყვიტოს მან პოლიტიკურ დამნაშავეთ თავის შეფარვის საქმე, რომლებიც რესპუბლიკურ კანონების ძალით არასოდეს არ გაიცემიან.

რუსის ოფიციალურ ფრანკოფონულ გაზეთში მოყვანილია ცნობები შვეიცარიისადმი, რომელთაც ძალიან აუღელვებია შვეიცარიის გაზეთები. მაზეთი ამბობს: „შვეიცარიას არა აქვს არსებობის საკუთარი უფლება და თუ არსებობს, მხოლოდ დიდ სახელმწიფოთა თანხმობითა. ამასვე ერთი ჟენევის (შვეიცარიის) გაზეთი ამბობს: „შირიშის ომის შემდეგ რუსეთმა გაწყვეტა ყოველივე კავშირი შვეიცარიასთან; მაგრამ შემდეგში ისევ განაახლა კავშირი, შვეიცარიას კი არც ეს გაწყვეტა უთხოვია და არც ეს განახლება. ეს გაზეთი მოიხსენებს მაგალითს, რომ დიდ სახელმწიფოთა შვეიცარიისადმი მიმართულს მუქარის შემდეგ 1848 წ. მოხდა რევოლუციის პარიზში, მენაში და ბერლინში.“

**ინგლისი.** 18 მარტს ლონდონში დაუტუსაღებიათ მოსტი და დაუკეტიათ ამისი სტამბა. ეს ის მოსტია, რომელმაც თავის გაზეთში „თეის-უფლებაში“ რუსეთის იმპერატორის მკვლელებს უქებდა მოქმედებას. მოსტის საქმე იჩივება ლონდონის სასამართლოში. ეს საქმე იზიდავს მთელი ინგლისის ყურადღებას. მან „Daily News“-ი ამკარათ ამბობს, რომ მოსტის დატუსაღება ბერმანის საქმეა და არა რუსეთის. რადგანაც გაზ. „თეის-უფლება“ ნემცურ ენაზედ გამოდის და უფრო ბერმანიაში ვერცელდება. (ეს გაზეთი ეხლაც გამოდის: მოსტის თანამოაზრეებმა დაიჭირა ეს ახალი რედაქტორი).

## განსხვავება

„განგაზიანი კომიტატი ობილინის გუბარნიის თავად ახნაურთა საზოგადოებისა, შაშლაველ მოსწავლეთა შაშაოპისათვის“ ამით აცხადებს რომ ამ წლის 27 აპრილს დილის 10 სათზედ თბილისის გუბერნიის თავად-ახნაურთა საადგილ-მამულთა ბანკის სადგომში იქმნება საზოგადოება „საზოგადოებისა“ წევრთა.

### განსახილველნი საგანნი:

- ა) ახგარიში განმკვეთელი კომიტეტის წარსული წლის მოქმედების შესახებ.
- ბ) კომიტეტის წინადადება სკოლისთვის საკუთარი სახლის შექმნის თაობაზედ. (5—1)


### განხარების ქალის მალაზიაში,

განხარის ქუჩაზედ სოლოლაკში მიღებულია მრავალი გულისხმარება და თავსაკრავები. (5—1)

## დიდ-ძალ სამონღოს დასქიდვა

ფაბრიკის ფასებით, ინგლისის მალაზიაში, არწრუნის გალერეიაში.

იქვე ისყიდება: წყლის-საწურავი მაშინები, ღოგვი, სახამებელი, კაკაო, შოკოლადი, სტაქნები და სახის დასამშენებელად რძის, ნუშის და გლიცერინის საბონი; ახალ სისტემის თოფები. (10—8)



ბული წამალი ნაოჟლარისა, რომელიც (ნაოჟლარი) სიცხისგან განხდება — სოღმე, განსაკუთრებით სიძრათ ფეხის თითებს შუა,

## გალმანინი

(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაკის წამლებს მალაზიაში კერძის ყველა დიდ ქაღალტში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის: ჟარმაკის მაგისტრის გ. კანზინსკის აფთიაკის ქ. ვარშაში, ელექტოვალის ქუჩაზე № 35. დიდი კარობუგა გაღმანისა ვარშაში 50 კ. დირს, ზატარა — 30 კაზ. უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გაღმანისი არ შეიკატეფონ და ითხოვით რომ კარობუგასთან იყოს: ასხსნა როგორ უნდა იხმართო წამლი და შედალი ზარიყის მსოფლიო გამოფენისა. (20—1) კ. კანზინსკი.

**მიუხედავით** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევე იმ ფასად, როგორც წინათ იყო: კანგრაზი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინიგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.; მშენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. შრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანჭა უქალაღლოთ.

ინგლისური რეკლავები 4 მ.—40 მანეთადის და თოფები 20—200 მანეთადის. ინგლისის მალაზიაში. სააგენტო აარსნის უნგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტებისა, შოკოლადისა და კესტრანქტისა კაკაო ფრანის, რომელთაც დაიმსახურეს ზარიყის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მედალი. გირვანჭა არმატიული ჩაისა ღამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. გაჭრები მოიგებენ, თუ იყიდან ზღვრათ ინგლისის მალაზიაში. მთელი გოლტიუმი 15 მ. ხველების გონჭეტები 60 კ. ერთი გირვანჭა. 100—45

### ბავრი კარატები

შოდონები, კლიტები, კალმები, ქალაღები, თოფები, რეკლავები, სტაქნები, ციტრატ-მაგნეზია, კანფეტები, მურაბები და სხვ. ისყიდება ინგლისის მალაზიაში.

იქვე: ჰალტო 12 მან — დამ, შარელები 4 მან — დამ, ტრიკო 70 კ. ალაბი, თევზები 12 კ. ერთი, ძიანტის ჩაი პირ-და-პირ მოსაყლის ადგილიდამ მი-

ღებული 1 მან. 5 კ. — 2 მან. (უმშვენიერესი) გირვ. უქალაღლოთ. მართი ვაგონი მურაბები 85 კ. (20—14)

### ლონდონის მალაზია

მრეენის მოედანზე № 2, კომერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ძიანტის და ჩინეთის პირველი მოწვევის ჩაის გასაყიდველად და ასაკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რეკლავებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდონი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ტიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საბონის, ცხვირ-სახოცების, შროთი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—49)

### ინგლისის მალაზიაში

**თისლან-სი**
**მას-სი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაზვანით 2 მანეთი და 28 კაზ.

აქვე ისყიდება ქინის ზომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სოტკეები თავის ტკივილის მოსასწობლად, რუხ-ღებების საზონი, დუხები და სხვ. (150—53)

### იჯარით მავული

სოფ. ქარელში გორის უესდში) რკინის გზის მახლობელ გავიცემა იჯარით თ. იასონ დაუთის-ძის ციციანოვის მამული: სახნავ-სათესი ადგილები, სათივე, ტუე (ერთი მე-ოც-და-თორმეტე ნაწილი საცრაციანო ტუისა), აგრეოვე სახლი სოფ. ქარელში ეოველის თვის მოწუობილობით.

დაწერილებითი ზირობების შეტეობა მსურველს შეუძლიან სოფ. ქარელში თ. იასონ დ. ციციანოვისაგან. (6—6)

### დასქიდვა ფასებით:

სასამთრო ზალტოები 12 მანეთადამ; ჭრუჭაიკები 2 მან. 50 კ.; ქუდები 1 მანეთადამ, ფოდონები 5 კაპეიკადამ; თოფები 12 კაზ. თითო; ინდუსის ბრინჯი 10 კ. გირვ.; ინგლისური გამ-ფეტები 40 კაპეიკადამ, და ჩაი, რომელიცა ყველგან 2 მ. 50 კ. დირს, ისყიდება 1 მან. 80 კ. ინგლისის მალაზიაში, არწრუნის გალერეიაში. (20—14).

ტფილისის ჩარკიანის წინა-სილაზიაში და მუთასის ვანარდის წინის მალაზიაში ისყიდება

### სამწერლო

## თაიგული

შედგენილი და გამოცემული ილია ჭყონასაგან. შინაარსი: I ბაბუას თხზვან (ლექსი) მ. შაველისა, II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა, III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. შაველისა, IV მ...სადმი (ლექსი) მ—სა, V ფერი ფერს — მაღლი ღმერთის სამ-მოქმედებიანი კომედია ცვლილთარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან, VI ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფიელ მირსთვისა, VII ხასიათის გაგლეხსამეულ სმაილსისა, VIII უკითხავი ზასუსი (ლექსი) ნ. დ—სა, IX ახალი მოგლეხება ჩვენს ლიტერატურაში და X მტარგლეხს (ლექსი) აკაკისა. შასი თითო წიგნისა ათი შაჟრი.

ხელოს კამფეთები 40 კაპეიკადამ გირვანჭა; ქინაქინის ღვინო ციციანოვის—10 მან. 50 კაზ. ბოთლი, სპარსული შარბათი და ციტრატ-მაგნეზია თითო ბოთლი—70 კაზ., საუკეთესო კონიაკი—2 მან. და ძველი პორტ-ღვინი და ხერესი 1 მან. 40 კ. ჭმიდა სათლები და მშრალი საბონი ინგლისის მალაზიაში. (20—15)

### ლონდონის მალაზია კომერციული

ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებ: თოფებისა, რეკლავებისა, კლიტებისა, ტურტლებისა, ვარშატებისა, დანებისა, კოჭებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საბონისა, შოკო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, გაღმებისა, უნგრებისა, სუკრისისა (გემრიელი გლეშკინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მანკინტოშის მოსასწავლად გასასყიდლად განთქმების და ბატკურის და კაპ. მურასისა, აგრეთვე ხელქებისა და წინდებისა ნოტინგამიადამ. ნამდვილი ჭყონას იგარები. (100—45)

### ღვინის სახდელი მამინები

ინჟინერ-მენაიკის ბარბ კ. ჩონსპარის სისტემისა, რომელიც უკვე ათი წელიწადია, რაც ჩინებულად მუშაობს ექვს ჩვენის მხრის ზეოღებზე, მზადდება თუილისში, მარანტოვის წყლის-პირა ქუჩაზე, № 16 მენაიკურ სახელოსნოში. დაწერილებული ცნობის შეტეობა ფასებზე და სხვა შეიძლება იქვე პარლ ნეიმანთან. (11—10)